ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №6-ბ/17

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი ;

საფუძველი: საქ. მთავრობის 2017 წლის 24.01. N93 განკარგულება მუხლი -,,კაპიტალი"

ქ.თბილისი **26 იანვარი 2017 წელი**

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 იანვრის N93 განკარგულების მე-3 პუნქტის საფუძველზე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 6 იანვრის N71 განკარგულების (SMP170000020) შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების მიზნით:
ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს მელიორაცია"** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან დვალის სახით, და მეორეს მხრივ, **ფ.პ ,,მალხაზ ლორთქიფანიძე"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. ხელშეკრულების საგანია - „აჯამეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, წყალმიმღების, სალექარის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურენო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე" ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება.
1.2. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელი'' კისრულობს ვალდებულებას საკუთარი პასუხისმგებლობით ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით უზრუნველყოს აჯამეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, წყალმიმღების, სალექარის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურენო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (CPV-71247000) (შემდგომში – ,,მომსახურება") (მოხ. ბარათი N შ-17995, ტენდ. ხელშ. N42-ბ/14;)
1.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **6000.00 (ექვსი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს** (მათ შორის საშემოსავლო გადასახადი 1200.00 ლარი).
1.4. 1 (ერთი) თვეში გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს 2000.00 (ორიათასი ლარი და 00 თეთრი).
1.5. გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.
2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
2.2.1. გასაწევი მომსახურების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
2.2.2. გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, საჭიროების შემთხვევაში ინსპექტირების აქტის გაფორმება.
2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
2.3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ შპს ,,საქართველოს მელიორაციის" სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობის სამსახურის ჯგუფის უფროსი, მიხეილ ჭაბაშვილი.

3. მომსახურების მიწოდების პირობები

3.1 მიმწოდებელმა უნდა გაუწიოს შემსყიდველს 1.1 და 1.2 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ყოველდღიურად დანართი N1-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად).
3.2 მიმწოდებელმა მომსახურების მიმდინარეობის პერიოდში უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა ის შენიშვნა/მოთხოვნა რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკურ ნორმებთან.
3.3 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას ობიექტის მუდმივი და უწყვეტი ზედამხედველობა.
3.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

4.1. მომსახურება ყველა ხარჯის გათვალისწინებით მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს 2017 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 30 აპრილის ჩათვლით.
4.2 ,აჯამეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, წყალმიმღების, სალექარის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურენო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების შეწყვეტის ან/და დროებით

4.3. ობიექტის კონკრეტული ადგილმდებარეობაა ზესტაფონის, თერჯოლისა და ბაღდათის ადმინისტრაციული რაიონების სარწყავი ფართობები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარება ხორციელდება თვის ბოლოს გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე .

5.2. იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს მელიორაციის" სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობის სამსახურის ჯგუფის უფროსი, მიხეილ ჭაბაშვილი.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულებების მიხედვით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.4 ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრული გარემოებიდან გამომდინარე ზედამხედველობის მომსახურების დროებით შეჩერების შემთხვევაში ასეთი დღეები არ ანაზღაურდება.

6.5 წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი არ გამოიყენება.

6.6 6.2 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 5.3 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ი.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" სრულყოფილი და დროული მომსახურება;

7.1.2. „შემსყიდველს" საკუთარი სახსრებით გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს ,,შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.5 უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას ობიექტის მუდმივი და უწყვეტი ზედამხედველობა.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მომსახურება გაწეული იქნება მაღალხარისხოვნად, დანართი N1-ით მოთხოვნილი პირობების შესაბამისად და სტანდარტებისა და არსებული ნორმების დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი შეუსაბამობის ან/და ხარვეზის აღმოფხვრა დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუმეტეს 1 (ერთი) კალენდარული დღისა. ასევე იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს არასწორად გაწეული მომსახურების შედეგად შემსყიდველზე მიყენებული ნებისმიერი ზიანის აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შედგენილ დეფექტურ აქტში მითითებულ ვადებში (ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე მხარეები ადგენენ დეფექტურ აქტს. აღნიშნულ აქტში გამოვლენილ ხარვეზებთან ერთად მითითებულ უნდა იქნას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე დადგენილი ზიანის აღმოფხვრისთვის საჭირო გონივრული ვადები).

8.1.2. გაწეული მომსახურების შედეგად მიმწოდებლის მიერ შემსყიდველზე ან/და მესამე პირზე მიყენებული ზიანის რისკი ეკისრება მიმწოდებელს, იგი პასუხისმგებელია უსაფრთხოების ნორმების დაუცველობით გამოწვეულ შედეგებზე.

8.1.3. მიმწოდებლის მხრიდან 8.1 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.
8.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.4 ფორს-მაჯორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში, ყოველ ასეთ დღეზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 %-ის ოდენობით;

13.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 3.3 და 7.1.5 პუნქტებით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 %-ის ოდენობით;
13.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებული ვად(ებ)ის გადაცილების შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 %-ის ოდენობით;
13.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოცემულ მომენტში გადასარიცხი თანხის 2 %-ის ოდენობით;
13.5. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.
13.6. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 13.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზეც მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს.
14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარ ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.
15.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით.
15.3 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა; ხელშეკრულების 1 ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან''; 2 ეგზემპლარი ,,შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი"
შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია"
საიდენტიფიკაციო კოდი 204524568
მისამართი ქ. თბილისი, მარშალ
გელოვანის გამზ. N6
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE58BG0000000182323100

გენერალური დირექტორი
ლევან დვალი

„მიმწოდებელი"
ფ.პ. „მალხაზ ლორთქიფანიძე"
პირადი ნომერი: 01024008258
მისამართი: ქ. თბილისი,
ვაჟა-ფშაველას N39
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE92BG0000000324388300

ფიზიკური პირი
მალხაზ ლორთქიფანიძე

ტექნიკური ზედამხედველის ვალდებულებები

I. გასაწევი მომსახურება

1. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის, სამუშაოთა წარმოების ვადების, ხარჯთაღრიცხვების და სპეციფიკაციების მოთხოვნების დასაცავად მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს:

1.1. ტექნიკური ზედამხედველობის სამუშაოების პროგრამის მომზადება სამუშაოთა დაწყებამდე;

1.2. მიმდინარე სამუშაოების ყოველდღიური ზედამხედველობა, ტექნიკური შემოწმება, აღრიცხვა და დაფიქსირება; შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და ტექნიკური სპეციფიკაციების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება;

1.3. კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობების ყოველდღიური და ეტაპობრივი კონტროლი, მათი შედარება საპროექტო დოკუმენტაციასთან და საკონტრაქტო ხარჯთაღრიცხვასთან;

1.4. სამუშაოებში გამოყენების წინ სამშენებლო მოედანზე მასალების, ნაკეთობებისა და მოწყობილობების საპროექტო მოთხოვნებთან შესაბამისობის, ასევე სერთიფიკატების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის შემოწმება;

1.5. ფარული სამუშაოების ყველა პარამეტრის გაზომვა; კონტრაქტორთან ერთად ფარული სამუშაოების აქტების შედგენა;

1.6. მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესში გამოვლენილი დამატებითი და გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაფიქსირება და აღრიცხვა; აღნიშნულთან დაკავშირებით შემსყიდველის ინფორმირება და კონტრაქტორის მიერ მომზადებული აქტის დამოწმება;

1.7. ლაბორატორიულ ან/და სხვა სახის შემოწმებას ქვემდებარე მასალების/ნაკეთობების სინჯების აღების უზრუნველყოფა კონტრაქტორთან ერთად; კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი შემოწმების ოქმების/დასკვნების განხილვა;

1.8. კონტრაქტორის ინფორმირება შესასწორებელი და დასასრულებელი სამუშაოების შესახებ;

1.9. კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშსწორების დოკუმენტაციის (შესრულებულ სამუშაოთა აქტის – ფორმა №2) შემოწმება, დამოწმება და ხელმოწერა;

1.10. საჭიროების შემთხვევაში საკამათო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა; იმ საკითხთა გადასაწყვეტად, რომლებიც აღემატება ზედამხედველის უფლებებს, შემსყიდველის ჩართვა;

1.11. კონტრაქტორის მიერ სამუშაოთა წარმოების პროგრამის და გრაფიკის დაცვაზე მეთვალყურეობა;

1.12. ფარული სამუშაოების მიმდინარეობის პროცესის ამსახველი ვიდეო- და ფოტომასალის მომზადება;

1.13. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესის ამსახველი ვიდეო- და ფოტომასალის მომზადება;

1.14. მეთვალყურეობა კონტრაქტორის მიერ მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობაზე და დროებითი შენობა-ნაგებობების სამუშაოთა წარმოების პროგრამის შესაბამისად განთავსებაზე;

1.15. კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი, ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული საშემსრულებლო ნახაზების შესრულებულ სამუშაოსთან შესაბამისობის შემოწმება;

1.16. ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალის წარმოება, კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების მშენებლობის ხარისხთან დაკავშირებული შენიშვნების და დეფექტების აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ყოველდღიური აღნუსხვა;

1.17. შემსყიდველსა და კონტრაქტორს შორის დამატებითი მოთხოვნების ან დავის შემთხვევაში შემსყიდველისათვის კონსულტაციების მიცემა და დახმარება, სანამ დავა არ გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებით.

II. ანგარიშგება

1. ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება მომსახურებასთან ერთად მოიცავს ანგარიშგებას – შემსყიდველისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოთა მიმდინარეობასა და ხარისხზე სრული დეტალური ინფორმაციის მიწოდებას;

2. ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს კონტრაქტორის მიერ დეტალური პროექტის და ტექნიკური სპეციფიკაციების მოთხოვნების მკაცრად დაცვა. პროექტიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შემსყიდველს და მასთან შეთანხმებით დასახოს ღონისძიებები დეფექტების აღმოსაფხვრელად.

3. ზედამხედველმა უნდა წარადგინოს შემდეგი ანგარიშები:

3.1. საწყისი - საწყის ეტაპზე სამუშაოების მიმდინარეობის და ზედამხედველობის სამუშაო გეგმაში ცვლილებების მითითებით (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);

3.2. პერიოდული - ყოველი კალენდარული თვის ბოლოს, კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოს აქტის წარმოდგენისას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ თვითონ საჭიროდ ჩათვლის. პერიოდულ ანგარიშში აისახება სამუშაოების მიმდინარეობა განვლილ პერიოდში და ცვლილებები სამუშაო გეგმაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თან დაერთვება ვიდეო- და ფოტომასალა (ელექტრონული სახით);

3.3. საბოლოო - ანგარიში პროექტის დასრულების შესახებ, რომელსაც თან უნდა დაერთოს საშემსრულებლო ნახაზები.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია“	**ფ.პ. „მალხაზ ლორთქიფანიძე“**
გენერალური დირექტორი	ფიზიკური პირი
ლევან დვალი	**მალხაზ ლორთქიფანიძე**